

## საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება

### ბიოგრაფიული მონაცემები მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის შესახებ

ირაკლი გვენეტაძე-სსიპ. მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე

ირაკლი გვენეტაძე უკვე 20 წელია, რაც ინფორმაციული ტექნოლოგიების განხრით მუშაობს. მისი სამუშაო გამოცდილება მოიცავს როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებს, ისე კერძო და საჯარო სექტორს. როგორც IT ექსპერტს, გამოცდილება აქვს შემდეგი მიმართულებებით:

- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) პროექტის მართვა;
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სტრატეგიის შემუშავება;
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) ინფრასტრუქტურის აუდიტი;
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროექტის განხორციელების აუდიტი;
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სტრატეგიის გეგმის შეფასება;
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) ოპერაციული მართვისა და ცვლილების მენეჯმენტის პროცედურების შემუშავება;
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება.

ირაკლი გვენეტაძე არის საქართველოს “ელ-მმართველობის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო სამთავრობო კომისიის” წევრი, მსოფლიო ბანკის “მაღალი რანგის სამთავრობო ლიდერების (რომლებიც ტექნოლოგიას საჯარო სერვისების ტრანსფორმაციისთვის იყენებენ)” ქსელის წევრი და საქართველოს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბიზნეს საბჭოსა (ICT) და IT ინოვაციის ღონისძიების (GITI) თანადამფუძნებელი .

2010 წლის იანვრამდე, მონაცემთა გაცვლის სააგენტოში მუშაობის დაწყებამდე, ბ-ნ ი ირაკლი გვენეტაძე მონაწილეობდა ელ-მმართველობის განვითარების პროექტებში, როგორცაა საქართველოს სამთავრობო ქსელის ჩამოყალიბება, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურისა და მოქალაქის პორტალისთვის სტრატეგიის შემუშავება, ელ- დეკლარირების სისტემის შექმნა და მრავალი სხვა.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

**ნატა გოდერძიშვილი** - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი

ტელ: (+995 32) 291 51 40 (116); ელ.ფოსტა: foi@dea.gov.ge